ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4345031

ნომერი: AR1652615

თარიღი : 27.12.2018

გაცემის თარიღი : 22.01.2019

გაცნობის თარიღი : 22.01.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მეფე მირიანი , N 9;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ილია ხავთასი პ/ნ 01020010688
- თბილისი მ.მესხის ქ. N 26ა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 19 მაისის № ნ/635 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე უარის თქმის შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 27 დეკემბერს №AR1652615 განცხადებით მომართეს ილია ხავთასმა და ირაკლი თუშიშვილმა. განმცხადებლებმა

მოითხოვეს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგემარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 19 მაისის № ნ/635 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგემარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 23 იანვრის № 01/57 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დიდი დიღომის I მ/რ-ში ცენტრალური გზის მიმდებარედ, უბანი II, ნაკვ. №1, ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა ,,გიორგი ბრწყინვალე 2007-2''-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.
ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგემარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 19 მაისის № ნ/635 ბრძანებით გაიცა ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დიდი დიღომის I მ/რ-ში ცენტრალური გზის მიმდებარედ, უბანი II, ნაკვ. №1, ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა ,,გიორგი ბრწყინვალე 2007-2''-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა და № ნ/635-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2008 წლის 23 მაისიდან 2010 წლის 23 აგვისტომდე.
სამსახურის 2010 წლის 23 აგვისტოს №4200 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2008 წლის 19 მაისის № ნ/635 ბრძანებაში და № ნ/635-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, კერძოდ ,,ნებართვა ძალაშია 23 აგვისტო 2010 წ'' შეიცვალა ,,ნებართვა ძალაშია 23 სექტემბერი 2012 წ''.
სამსახურის 2015 წლის 22 აპრილის № 1853550 ბრძანებით მრავაბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებით გაიცა ახალი მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 22 აპრილის 2017 წლის 22 აპრილის ჩათვლით.
სამსახურის 2015 წლის 12 ოქტომბრის № 2237523 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, დიდი დიღომის დასახლება , მიკრო/რაიონი I , ცენტრალური გზის მიმდებარედ , უბანი II , ნაკვეთი N1, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.06.014.016), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, ხოლო 2015 წლის 06 ნოემბრის № 2283428 ბრძანებით კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 06 ნოემბრიდან 2016 წლის 06 ნოემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2017 წლის 25 სექტემბრის № 3563116 ბრძანებით (ს/კ: №01.10.06.014.016), შეთანხმდა საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, ხოლო 2017 წლის 23 ოქტომბრის № 3630671 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 24 ოქტომბრიდან 2018 წლის 24 ოქტომბრის ჩათვლით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგემარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 19 მაისის № ნ/635 და 2015 წლის 22 აპრილის № 1853550 ბრძანებებით გაცემული მშენებლობის ნებართვები ვადის გასვლის გამო ძალადაკარგულია და აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა ბრძანებაში დამკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებით.
დამატებით გაცნობებთ, რომ 2017 წლის 23 ოქტომბრის № 3630671 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა, სადაც დამკვეთად დაფიქსირებულია შ.პ.ს. „მს დეველოპმენტი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404491377).
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.